საინფორმაციო-სასწავლო კურსი „კიბერუსაფრთხოება და კიბერ-ჰიგიენა“ საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) პარტნიორობით, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის საინფორმაციო-სასწავლო კურსი „კიბერუსაფრთხოება და კიბერ-ჰიგიენა“ განახორციელა.

პროგრამა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკას ეხმიანება და კიბერ საფრთხეების პრევენციის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობას ითვალისწინებს. მონაწილეები სასწავლო კურსის ფარგლებში კიბერუსაფრთხოების კონტროლის მექანიზმებსა და კიბერ-ჰიგიენის ძირითად გაიდლაინებს გაეცნენ.

სწავლება მიმდინარე წლის 1 მარტიდან 12 მარტის ჩათვლით პერიოდში ონლაინ ფორმატში განხორციელდა და მასში მონაწილეობა 76 საოლქო საარჩევნო კომისიის 370-მა წევრმა (ქალი - 221; კაცი - 149) მიიღო.

დამატებითი ინფორმაცია:

http://electionreforms.ge/geo/list/show/3077-sainformatsio-sastsavlo-kursi-kiberusafrtkhoeba-da-kiber-higiena-saolqo-saarchevno-komisiebis-tsevrebistvis

http://electionreforms.ge/geo/list/show/3082-sainformatsio-sastsavlo-kursis-kiberusafrtkhoeba-da-kiber-higiena-farglebshi-saolqo-saarchevno-komisiebis-tsevrebis-dastsrebis-statistika-2021